



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამიწის მეგობრები - საქართველო)

გარემო და საზოგადოება




შინაარსი

პროექტის - „ადგილობრივი თემების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“ შემაჯამებელი კონფერენცია.	3
Final Conference of the Project - “Community-based Biodiversity Conservation and Sustainable Use of Natural Resources in Samegrelo Region“	6
პროექტი	8
ნაკვეთმორიგეობითი ძოვების პრაქტიკის დანერგვა ელექტრომწყემსის გამოყენებით	25
ეკობანაკი.....	28
ქარსაცავი ზოლების გაშენება სამეგრელოს რეგიონში.....	31
დეგრადირებული ტყეების აღდგენის ხელშეწყობის ფართომასშტაბიანი აქცია სამეგრელოს რეგიონში	32
სამეგრელოს მდინარეთა აუზების მცენარეთა იშვიათი და ენდემური სახეობების მრავალფეროვნების არსებული მდგომარეობა	33
კირცხის ძელქვის კორომის ბუნების ძეგლად გამოცხადების პერსპექტივის შესახებ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს დასავლეთი.....	45
სამეგრელოს მაღალკონსერვაციული ეკოსისტემების მდგომარეობა	57
რეზოლუცია.....	66

პროექტის - „ადგილობრივი თემების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“
შემაჯამებელი კონფერენცია.

2017 წლის 7 დეკემბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა პროექტის - „ადგილობრივი თემების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“ შემაჯამებელი კონფერენცია.



კონფერენცია გახსნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს თანათავმჯდომარემ, ქ-ნმა რუსუდან სიმონიძემ, რომელმაც ისაუბრა პროექტის მნიშვნელობის შესახებ.



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე გრიგალავამ ისაუბრა სამეგრელოს მთიანეთში დაცული ტერიტორიის შექმნის, მისი მდიდარი ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობაზე.

პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა პროექტის კოორდინატორმა, მარინა ჟორდანიამ.



რომან მაისურაძემ ისაუბრა სამეგრელოს მაღალკონსერვაციული ეკოსისტემების მდგომარეობასა და გეოინფორმაციულ სისტემებზე.

გიორგი არაბულის მოხსენება შეეხებოდა სამეგრელოს მდინარეთა აუზების (მდ. ენგური, მდ. ხობისწყალი, მდ. ტეხური) იშვიათი და ენდემური სახეობების მრავალფეროვნების არსებულ მდგომარეობას.

პროექტი, რომელიც მოიცავდა, სამეგრელოს მაღალმთიან რეგიონებში ბიომრავალფეროვნების კვლევას, განხორციელდა სამეგრელოს რეგიონში 2015-2017 წლებში საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს მიერ, შვეიცარიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის Pro-Natura - დედამიწის მეგობრები - შვეიცარიის ფინანსური მხარდაჭერით.



პროექტი ითვალისწინებს 7 მუნიციპალიტეტის 21 სამიზნე თემში ჰაბიტატების კონსერვაციაზე ხელშეწყობას, ადგილობრივი სამიზნე თემების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრაქტიკის დანერგვით.

პროექტის ფარგლებში გაიმართა გამწვანებისა და დასუფთავების აქციები. ასევე განხორციელდა დეგრადირებული ტყეების ფრაგმენტებისა და ქარსაცავი ზოლების აღდგენითი სამუშაოები. მოსწავლეებისათვის კი სასკოლო ოლიმპიადები და ეკო - ბანაკები მოეწყო.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საქართველოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

Final Conference of the Project - “Community-based Biodiversity Conservation and Sustainable Use of Natural Resources in Samegrelo Region“.

On December 7, 2017 -Tbilisi Marriott Hotel hosted a final conference of the project - Community-based Biodiversity Conservation and Sustainable Use of Natural Resources in Samegrelo Region“.

The conference was opened by the co-chair of the Greens Movement of Georgia / Friends of the Earth-Georgia, Ms. Rusudan Simonidze, who spoke about the importance of the project.

Ms. Ekaterine Grigalava, Deputy Minister of Environment and Natural Resources Protection talked about the establishment of a new protected area in Samegrelo mountainous region and promotion of the protection of ecosystems with high conservation value and biological diversity.



The project coordinator, Ms. Marina Jordania, Mr. Roman Maisuradze and Mr. Giorgi Arabuli made presentations on this project.

The project, which included biodiversity research in high mountainous regions of Samegrelo region, was implemented during 2015-2017 years in Samegrelo region by the

Greens Movement of Georgia / Friends of the Earth-Georgia, with financial support of “Pro-Natura, Friends of the Earth-Switzerland”.



Recommendations developed on the basis of the research and conducted within the framework of the project will support the sustainability of Georgia's biodiversity and fulfillment of the obligations undertaken by international conventions.



პროექტი



პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები:

- ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობათა ასოციაცია – „ელკანა“;
- კავკასიის გენეტიკა;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

პროექტის საერთო ამოცანა

ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა სამეგრელოს რეგიონში (ხანგრძლივი პერსპექტივა)

კონკრეტული ამოცანები



(1)

მაღალკონსერვაციული ღირებულების ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაცია ადგილობრივ თემთა ჩართულობით

(2)

სიღარიბის დაძლევაზე ხელშეწყობა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების გზით.

(3)

ადგილობრივი თემებისა და თვითმართველობების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება

- კავკასია ბიომრავალფეროვნების მხრივ გამორჩეული რეგიონია.
- კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთს დედამიწის ბიომრავალფეროვნების 34 ცხელ წერტილს შორის.
- საქართველოს წითელ ნუსხაში არის ფაუნის 139 სახეობა, მათ შორის ფრინველთა 35 სახეობა.
- საქართველოს წითელ ნუსხაში არის ფლორის 56 მერქნიანი სახეობა.
- საფრთხის წინაშეა მცენარეთა ენდემური სახეობების 60%

- სამიზნე ტერიტორიებზე მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები;
- აღიწერა არსებული ტყის ტიპები და მოხდა მათი შეფასება;
- განხორციელდა ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილების (ჰაბიტატების) იდენტიფიკაცია;
- აღიწერა რელიქტური და ენდემური სახეობები;
- მომზადდა მონაცემთა ბაზა;



- განხორციელდა ცხელი წერტილების კარტოგრაფირება და გეოინფორმაციული სისტემის შექმნა;
- ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატებისა და სახეობების იდენტიფიცირება;
- შეფასდა შესწავლილი ტყეების დეგრადაციის ხარისხი;
- განხორციელდა დეგრადირებული ტყის ტერიტორიების იდენტიფიცირება და მოხდა რეაბილიტაცია.



სამეგრელოს ცხელი წერტილები

1. ხობი-ჰაპანწყუს ტბა- მოლუსკი მემარგალიტე - *Pinktada* sp.
2. ურთის მთის მიდამოები- *Laurus nobilis* -ის ბუნებრივი კორომები
3. მიგარიის კირქვული მასივი, მთა მიგარიას მდელო ენდემური მცენარეების თანასაზოგადოებით.
4. მიგარიის კირქვული მასივის შერეული კოლხური ტყე ბზის კორომებით
5. მდ. აბაშის აუზი- რაჩხის ხეობა წმინდა წაბლნარი.
6. ყვირას მასივი, როჭოს - *Lyrurus mlcosiewiczi* და დათვის - *Ursus arctos* ჰაბიტატი.

ასხის კირქვული მასივი



სამეგრელოს ცხელი წერტილები

1. ყვირას მასივი - *Rhododendron sokhadze* -ის ჰაბიტატი.
2. ყვირას მასივი-*Daphne pseudosericeum*-ის ჰაბიტატი.
3. ტეხურის ხეობა, მთა უწყარუ, როჭოს -*Lyrurus mlocosiewiczzi* და *Rhododendron caucasica*-ს ჰაბიტატი.
4. ლებარდე, სუბალპური მდელო ენდემური მცენარეების თანასაზოგადოებით - *Aquilegia caucasica*, *piretrum rozeum*, *kemulariela colchica*, *Aconitum nazutum*, *Lilium* .
5. ლუგელას ხეობა, შურუბუმუს მღვიმე, კოლხური რელიქტური ტყე ენდემური ქვეტყით - *Buxus colchica*, *Staphilea colchica*, *castanea sativa*.
6. მიგარიის კირქვული მასივი, მთა მიგარია - *Betula megrelica*-ს ტანბრეცილი ტყე.

ყვირას მასივი





მიგარიის კირქვული მასივი-მთა ჯვარი



მიგარიის კირქვული მასივი



მიგარიის მასივის იშვითი სახეობები



სამეგრელოს მაღალკონსერვაციული ეკოსისტემების ფლორა





საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები
საქართველო



სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების გზით.

- არამერქნული ტყის პროდუქტების მდგრადი მოპოვების განვითარებისა და ადგილობრივი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სწავლების მიზნით ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციასთან ერთად შემუშავდა კონკრეტული გეგმა
- მოხდა კომერციული ღირებულების მქონე ველური სახეობების იდენტიფიკაცია;



- დაიგეგმა დეგრადირებული ქარსაცავი ზოლების აღდგენის სტრატეგია, შეირჩა ბენეფიციარები და აღიწერა აღსადგენი ტერიტორიები;
- შეირჩა ბენეფიციარები საოჯახო პლანტაციების მოსაწყობად;
- ჩატარდა კვლევა სამეგრელოს რეგიონში არსებული აღდგენადი ენერგო-რესურსების პოტენციალის განვითარების შესახებ და დაიგეგმა კონკრეტული ქმედებები;



ადგილობრივი თემებისა და თვითმმართველობების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება

- შემუშავდა ინდივიდუალური თემატური მასალა სხვადასხვა ბენეფიციართათვის და დაინტერესებული მხარეებისათვის;
- ჩატარდა საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და ბენეფიციარებთან, მათ შორის, სკოლებში, პედაგოგებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, არასამთავრობო/სათემო ორგანიზაციებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;



- შემუშავდა მედია სტრატეგია და განხორციელდა სხვადასხვა მედია აქტივობები;
- ჩამოყალიბდა 7 ეკო-კლუბი ადგილობრივი სკოლების ბაზაზე და მოეწყო სასკოლო საკონსერვაციო ბაღები;
- მოეწყო გამწვანებისა და დასუფთავების აქციები;





სასკოლო საკონსერვაციო ბაღები



მარინა ჟორდანია
პროექტის კოორდინატორი

ნაკვეთმორიგობითი ძოვების პრაქტიკის დანერგვა ელექტრომწყემსის გამოყენებით

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს პროექტის („ადგილობრივი თემების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“) ფარგლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შერჩეულ იქნა 3 ჰექტარი საძოვარი გარახის უბანში, სადაც დამონტაჟდა ელექტრო მწყემსის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს საძოვრის მცენარის საფარის მდებარეობის და მისი საკვები ბალახის პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.



საკითხი მოიცავს საძოვრის გამოყენებას, საძოვრის მართვას, პირუტყვის დავადების მართვას და საძოვრის ბალახით მომარაგების მართვას. ელექტრო მწყემსის დაყენება მიზნად ისახავს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში საძოვრის მიმართ ახალი

ტექნოლოგიის კვლევას, სწავლებას და დემონსტრირებას რაც საპილოტე პროგრამით განხორციელდა შპს კავკასიის გენეტიკის მიერ.

აღნიშნული მოწყობილობა - ელექტრო მწყემსი, რომელიც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ესბუამ და საკრებულოს აპარატის მთავარმა სპეციალისტმა ამერან ჯოლოხავამ დაათვალიერეს, სამეგრელოში პირველად შევიდა ექსპლუატაციაში.



ახალი ინიციატივა ეფუძნება ახალ ინოვაციურ მიდგომას, სადაც უპირატესობა ენიჭება ადგილობრივ და ველურ კულტურულ (აგრობიომრავალფეროვნების) ბიომრავალფეროვნების (რომლითაც ძალიან მდიდარია სამეგრელო) დაცვასა და შენარჩუნებას. ასევე ადგილობრივი მოსახლეობის სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას.


პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, უპირატესი ამოცანაა ადგილობრივ მმართველობით და თვითმმართველობით ორგანოებთან თანამშრომლობა სინერგიულობის მიღწევისა და კოორდინირებული ქმედებების უზრუნველსაყოფად. პროექტი ხორციელდება შვეიცარიის ფინანსური მხადაჭერით.



მარინა ჟორდანია
პროექტის კოორდინატორი

ეკობანაკი







ქარსაცავი ზოლების გაშენება სამეგრელოს რეგიონში

2017 წლის 12-18 აპრილს სამეგრელოს რეგიონში ქარსაცავი ზოლების გაშენება სენაკის, ახაშის, ჩხოროწყუს, ხობისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივი მაცხოვრებლების საკარმიდამო ფართობებზე მოსავლიანობის გაზრდისა და ნიადაგის ქარისმიერი ეროზიისგან დაცვის მიზნით გაშენდა ქარსაცავი ზოლები.

მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქარსაცავ ზოლებს აქვთ უმნიშვნელოვანესი დანიშნულება კლიმატის გლობალური ცვლილების შერბილების თვალსაზრისითაც. დაირგო 10 000 ძირზე მეტი ხე.



დეგრადირებული ტყეების აღდგენის ხელშეწყობის ფართომასშტაბიანი აქცია სამეგრელოს რეგიონში

2017 წლის 12-13 მაისს, სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ჯვარის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ჩატარდა დეგრადირებული ტყეების აღდგენის ხელშეწყობის ფართომასშტაბიანი აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის რეგიონალურმა კოორდინატორებმა სამეგრელოს რეგიონში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, წალენჯიხის გამგებელმა და სამეგრელო ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ, საჯარო სკოლების მოსწავლეებმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან და პედაგოგებმა.



ტყის აღდგენითი აქციის ფარგლებში განაშენიანდა დაახლოებით 2 ჰა ფართობი, დაირგო ადგილობრივი ტყისთვის დამახასიათებელი სახეობები. მოსწავლეებს ჩაუტარდა კვალიფიციური კონსულტაცია რგვის წესების შესახებ.




სამეგრელოს მდინარეთა აუზების მცენარეთა იშვიათი და ენდემური სახეობების მრავალფეროვნების არსებული მდგომარეობა

**სამეგრელოს მდინარეთა აუზების (მდ.ენგური,
მდ.ხობისწყალი, მდ. ტეხური)
მაღალკონსერვაციული ჰაბიტატების, მცენარეთა
იშვიათი და ენდემური სახეობების
მრავალფეროვნების არსებული მდგომარეობა.**


გიორგი არაბული
თბილისი 07.11.17.

კავკასიის რეგიონი მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 34 ცხელ წერტილს შორისაა, ხოლო მისი დიდი ნაწილი საქართველოს უკავია



კოლხეთის ბოტანიკური პროვინცია ჰაბიტატების დიდი მრავალფეროვნებით, უნიკალური მცენარეულობით და მაღალი ენდემიზმით ხასიათდება.

რუკა 1 კოლხური რელიქტების მრავალფეროვნება



კოლხეთის დაბლობი, როგორც ისტორიული რეფუგიუმი,
რელიქტური და ენდემური მცენარეთა სახეობების
სიმრავლით გამოირჩევა.

მის ტერიტორიაზე თავმოყრილია **319** სახეობის ენდემური
მცენარე.

Euphorbia pontica



Pancratium maritimum




Staphylea colchica



საქართველოს კირქვიანი ჰაბიტატების მცენარეთა მრავალფეროვნებამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან მიიქცია მკვლევართა ყურადღება, ვინაიდან აქ მცხოვრები ორგანიზმები კალციუმით მდიდარ გარემოში არსებობას უნიკალური ეკოლოგიური მექანიზმებისა და ბიოლოგიის მეშვეობით ახერხებდნენ.

ჩვენს მიერ შესწავლილი ტერიტორია ჩხოროწყუს, წალენჯიხას, ხობის, მარტვილის, აბაშის და სენაკის რაიონებში მდებარეობს და ჰაბიტატების დიდ მრავალფეროვნებას აერთიანებს.

მოცემული ჰაბიტატები განსაკუთრებული სენსიტიურობით ხასიათდება, რასაც კირქვიანი ნიადაგის უნიკალური ეკოლოგიური თვისებები განაპირობებს.



სამეგრელოს ისტორიული რეგიონის მთიანი კირქვული მასივების და მათი ბიომრავალფეროვნების შესწავლას საფუძველი ჩაუყარეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიცაა: გროსჰეიმი, კეცხოველი, დოლუხანოვი, მარუაშვილი, გაგნიძე და სხვა.

2011 წლიდან მდ. ხობისწყლის ხეობაში მოხდა ძირითადი სენსიტიური ჰაბიტატების და მათი მცენარეთა სახეობების აღწერა. კვლევა ჩატარდა ზღვისპირა დიუნების ჰაბიტატიდან - მიგარიის კირქვული მასივის ალპურ სარტყლამდე. იგი მოიცავდა კოლხური შერეული, ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყის არაერთ უნიკალურ ჰაბიტატსა და მცენარეთა თანასაზოგადოებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფლორისტული და ფიტოსოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა არაერთი იშვიათი, დეკორატიული, ენდემური და ეკონომიკური მცენარის სახეობა და უნიკალური ჰაბიტატი.

Lilium szovitsianum



Aquilegia caucasica



Omphalodes lojkae



Woronowia speciosa



Kemulariella caucasica



საყურადღებოა, რომ მრავალი წლის შემდეგ მიგარიის კირქველ მასივზე მოხდა უნიკალური მეგრული არყის - *Betula megrelica* ველური პოპულაციის აღმოჩენა.



Betula megrelica - საქართველოს ენდემი



Pancratium maritimum - ზღვის შროშანი

შესწავლილ ჰაბიტატებში გამოიკვეთა არაერთი უნიკალური სახეობრივი შემადგენლობის და მრავალფეროვნების მცენარეული თანასაზოგადოება.



2012 წლის ივნისში მდ. ტეხურის ხეობის სუბალპური, ალპური და ტყის ზედა სარტყლების ფლორისტულმა შესწავლამ გამოავლინა არაერთი იშვიათი, დეკორატიული, ენდემური და ეკონომიკური მცენარის სახეობა. მათ შორის თოთხმეტი კავკასიის და ერთი საქართველოს ენდემია.

კვლევის უმნიშვნელოვანეს ასპექტს მცენარეთა მრავალფეროვნების შეფასება წარმოადგენდა, რაც ამა თუ იმ ჰაბიტატის საკონსერვაციო სტატუსსა და მნიშვნელობაზე მეტყველებს.

მდ. ტეხურის ხეობის შერჩეულ უბნებში მოხდა მცენარეულობის ფლორისტული და ფიტოსოციოლოგიური მეთოდებით (Braun – Blanquet; Simpson; Shannon - Vinner) შესწავლა. ჩვენ მიერ შეფასდა სახეობების ზოგადი მდგომარეობა და თანასაზოგადოებების სტრუქტურა. ასევე შეგროვდა სახეობების რაოდენობრივი მონაცემები. მნიშვნელოვანი ფიტოცენოზები და სახეობები დაფიქსირდა GPS კოორდინატორის მეშვეობით.

2016 წელს ჩატარდა ყვირას კირქვული მასივის მცენარეთა და ჰაბიტატების მრავალფეროვნების კვლევა და მათზე მოქმედი საფრთხეების გამოვლენა.

ჩვენ მიერ შესწავლილ ჰაბიტატებში 1500-2000 მ.ზ.დ. ფარგლებში გამოვლინდა ენდემური და იშვიათი სახეობები, როგორებიცაა: *Paeonia macrophylla*, *Woronowia speciosa*, *Rhamnus imeretina*, *Daphne pseudosericea*, *Cyclamen colchicum*, *Primula ruprechtii*, *Aquilegia caucasica*, *Carex pontica*, *Astrantia colchica*. განხორციელდა მოცემული სახეობების ზუსტი კოორდინატების შეგროვება, რაც მომავალში შესაძლებლობას მოგვცემს დარუკების საშუალებით შევადგინოთ სენსიტიური და მაღალი საკონსერვაციო სტატუსის მქონე ჰაბიტატების რუკა.



Paeonia macrophylla
დას. საქართველოს ენდემი



ჩვენ მიერ შესწავლილ ჰაბიტატებში გამოვლინდა ოთხი სახეობის ორქიდეა, რომელთათვის მოცემულ არეალზე დაფიქსირება ბუნების მკვლევართათვის სიახლეს წარმოადგენს. მოცემული სახეობებია: *Dactylorhiza urvilleana*; *D. Euxina*; *D. Romana ssp. georgica*; *D. iberica*. აღსანიშნავია, რომ მოცემული სახეობები დაცულია CITES კონვენციის მიერ, ხოლო ერთი სახეობა - *Dactylorhiza euxina* შეტანილია IUCN საერთაშორისო წითელ ნუსხაში.



Dactylorhiza euxina



Dactylorhiza romana
subsp. georgica



Dactylorhiza iberica

მნიშვნელოვანია, რომ გარდა ფლორის უნიკალური სახეობებისა, ყვირას კირქვული მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყის სარტყელში აღმოჩნდა კავკასიის ენდემური ლოქორას სახეობა - *Eumilax brandti*, რომელიც საკმაოდ იშვიათ ხმელეთის მუცელფეხიან მოლუსკებს განეკუთვნება.



Eumilax brandti - კავკასიის ენდემი

ჩვენ მიერ 2017 წელს ასხის კირქვული მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე შესწავლილ ჰაბიტატებში 1900 - 2400 მ.ზ.დ. ფარგლებში გამოვლინდა ენდემური და იშვიათი სახეობები, როგორებიცაა: *Astragalus kemulariae*, *Draba mingrelica*, *Paeonia macrophylla*, *Woronowia speciosa*, *Primula ruprechtii*, *Umbilicus oppositifolius*, *Tephroseria karjagini*, *Heracleum roseum*, *Galanthus platyphyllus*. განხორციელდა მოცემული სახეობების ზუსტი კოორდინატების შეგროვება, რაც მომავალში შესაძლებლობას მოგვცემს დარუკების საშუალებით შევადგინოთ სენსიტიური და მაღალი საკონსერვაციო სტატუსის მქონე ჰაბიტატების რუკა.


გამოვლინდა სამი სახეობის ორქიდეა, რომელთათვის მოცემულ არეალზე დაფიქსირება ბუნების მკვლევართათვის სიახლეს წარმოადგენს. მოცემული სახეობებია: *Coeloglossum viride*, *Dactylorhiza urvilleana*; *D. Euxina*. აღსანიშნავია, რომ მოცემული სახეობები დაცულია CITES კონვენციის მიერ, ხოლო ერთი სახეობა - *Dactylorhiza euxina* შეტანილია IUCN საერთაშორისო წითელ ნუსხაში.



2011 - 2017 წლებში ჩვენ მიერ შერჩეულ კირქვიან მასივებზე ჩატარებულმა ეკოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა ის ძირითადი ფაქტორები და საფრთხეები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ბუნებრივ ეკოსისტემებზე.

საფრთხეები

ბუნებრივ ჰაბიტატებში ინტენსიურად მიმდინარეობს უკონტროლო ტყის ჭრა, გადაჭარბებული ძოვება და ველური სახეობების ბუნებრივი გარემოდან სხვადასხვა ეკონომიკური მიზნით ამოღება.



განსაკუთრებით დიდი საფრთხე ემუქრება სოჭის, წაბლის, ბზისა და წიფლის დიდხნოვან კორომებს, რომლებიც დიდი რაოდენობით იჩეხება და ნადგურდება კოლხეთის რეფუგიუმის ეს უნიკალური ეკოსისტემები.

შინაური პირუტყვის მიერ ნადგურდება უნიკალური ბალახოვანი საფარი, ხდება მისი გარდაქმნა ნაკლები სიმდიდრის და ეკოლოგიური ღირებულების თანასაზოგადოებებად.



ზემოთ აღნიშნული უარყოფითი ფაქტორები იწვევს ფერდობების მოშლას. ეროზირებულ ფერდობებზე დიდია მეწყერის საშიშროება.



ნაკვეთმორიგეობითი ძოვების დანერგვა სამეგრელოს მაღალმთიანეთში - ხელს შეუწყობს:

- საძოვრების გადამოვების შემცირებას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას (თესლის ბანკის შექმნას)
- ბალახოვანი საფარის უკეთეს ვეგეტაციას და მოსავლიანობის ამაღლებას
- ნიადაგის ეროზიის შემცირებას
- ბალახის კვებითი ღირებულების ზრდას და დანაკარგების შემცირებას
- პირუტყვის დაცვას პარაზიტული დაავადებებისგან
- შესაძლებელია ერთ ჰექტარ საძოვარზე დატვირთვა გაიზარდოს 4 – 5 - დან 7 – 10 პროხამდე
- საძოვრების პროდუქტიულობის 20-25% - ით ზრდას.

დასკვნები და რეკომენდაციები

2011-2017 წლებში სამეგრელოს ტერიტორიაზე მცენარეთა ბიომრავალფეროვნების შესწავლამ მოცემული ჰაბიტატების მაღალი საკონსერვაციო სტატუსი გამოავლინა.

ჩვენი აზრით, აუცილებელია შეიქმნას სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც კომპლექსურად და სეზონურად შეისწავლის მოცემული ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებს.

მიგვაჩნია, რომ კოლხეთის ბოტანიკური პროვინციის კირქვიანი ნიადაგების მცენარეული საფარი არა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიის, არამედ სრულიად დედამიწის ბიომრავალფეროვნების ღირსეულ ნაწილს წარმოადგენს, რომლის უკეთ შესწავლა და დაცვა აუცილებელია.



გიორგი არაბული

კირცხის ძელქვის კორომის ბუნების ძეგლად გამოცხადების პერსპექტივის შესახებ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს დასკვნა

კირცხის ძელქვის კორომის ბუნების ძეგლად გამოცხადების პერსპექტივის შესახებ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს

დასკვნა

პროექტის „საზოგადოების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“-ფარგლებში

1. ზოგადი ინფორმაცია

1995 წლიდან დაიწყო საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის გაფართოება და დივერსიფიკაცია. 1996 წელს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით, განისაზღვრა დაცული ტერიტორიების მართვის კატეგორიები და დაცული ტერიტორიების დაარსების პროცედურები. ამ კანონმა შექმნა ბუნების სრულფასოვანი დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჰარმონიზების სამართლებრივი საფუძველი.

ამჟამად საქართველოში დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი ქვეყნის ტერიტორიის 7,47%-ია.

დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. დაცული ტერიტორიები წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზას. როგორც წესი, მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აკისრია: ეკო-საგანმანათლებლო, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ქვეყნის პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე და სხვა.

დაცული ტერიტორიების მნიშვნელოვანი გაფართოების მიუხედავად, დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი და ბიომრავალფეროვნების კუთხით მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაფარვის ხარისხი არ არის საკმარისი ქვეყნის ბიომრავალფეროვნების გრძელვადიანი დაცვისა და შენარჩუნებისთვის.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს მიერ 2015-2017წწ. განხორციელებული პროექტის „საზოგადოების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“- მიზანი იყო სამეგრელოში არსებული უნიკალური ბიომრავალფეროვნების შესწავლა, რელიქტური და ენდემური სახეობებისა და მნიშვნელოვანი ჰაბიტატების აღწერა და საბოლოოდ დაცული ტერიტორიის შექმნაზე ხელშეწყობა და რეკომენდაციების გაწევა.

კვლევებს აწარმოებდნენ ექსპერტები:

- მარინა ჟორდანია-ბიომრავალფეროვნების ექსპერტი
- რომან მაისურაძე- გეოგრაფი, ლანდშაფტოლოგი, გის-ის ექსპერტი.
- გიორგი არაბული-ექსპერტ ბოტანიკოსი.

პირველ ეტაპზე შეირჩა ჩხოროწყუს რაიონში სოფ.კირცხში არსებული უნიკალური რელიქტური ძეგლქვანარი (*Zelcova carpinifolia*) ტყის კორომი.

საპროექტო დაცული ტერიტორიის შექმნის მიზანს წარმოადგენს: ზემოთაღნიშნული ობიექტისათვის საქართველოს “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” კანონში მითითებული IUCN -ის შესაბამისად ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭება, რაც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პრობლემების გათვალისწინებით ტურისტული და რეკრეაციული საქმიანობის განვითარებას.

2. საკანონმდებლო საფუძველი

- საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების კონსერვაციისა და გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 1996 წელს მიიღო კანონი “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, რომლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის თაობაზე.

- საქართველოს მთავრობის 2005 წლის 18 თებერვლის №27 დადგენილების “საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ” შესაბამისად, დაცული ტერიტორიების მოქმედებათა გეგმაში განსაზღვრულია ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა და არსებულის გაფართოება 2014-2020 წლისათვის.
- “საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა”.

3. ობიექტის აღწერილობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ კირცხში მდებარე საშუალო სკოლის ეზოს ტერიტორიაზე მდებარეობს ძელქვის (*Zelcova carpinifolia*) ბუნებრივი კორომი, რომელიც შედგება როგორც დიდხნოვანი, ისე საშუალო ასაკის და ახალგაზრდა ასაკის ხეებისგან. ძელქვის კორომში, სადაც აღნიშნული იშვიათი და წითელი ნუსხის სახეობა ედიფიკატორად გვევლინება, შერეულია ცალკეული სახეობებიც, როგორცაა რცხილა, კოლხური მუხა, აკაცია, იფანი და იშვიათად გლედიჩია, რომელიც აკაციასთან ერთად ადვენტურ ფორმაციებს განეკუთვნება.

ძელქვის კორომი, როგორც გადმოცემებშია შემონახული, ჯერ კიდევ 19 საუკუნის მე-2 ნახევარში მდგარა აქ ხელუხლებლად. რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს კორომი აქ რამდენიმე საუკუნეა დგას და ცოცხალი ბუნების ძეგლის ყველა ნიშან-თვისება გააჩნია.

ძელქვის კორომი სკოლის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე ჰექტარ ნახევარ ფართობზე ოდნავ მეტს მოიცავს, მის გარდა ცალკეული ხეები გადის იმ მონაკვეთში, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აქვს შემოღობილი, რაც მისი სტატუსის მინიჭების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული და დაცვის ქვეშ უნდა მოექცეს.

სურ.1. ძელქვის მასივი კირცხის საშუალო სკოლის ეზოსთან



ძელქვნარი ტყის კორომები გაშლილია ბორცვის თხემურ ნაწილზე და მოიცავს ყველა ექცეპოზიციის ფერდობებსაც. ძირითადად დომინირებს კოლხურქვეტყიანი კორომები, კოლხური სუროთი და თაგვისარათი. კარგად განვითარებული ბალახეული ქვეიარუსით. ხეთა სიმაღლე საშუალოდ, 12-15 მეტრია, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში 16-18 მეტრამდეც აღწევს. კორომებს შორის განვითარებულ მდელოზე შეინშნება ძელქვის მოზარდი, საკმაოდ უხვი და კარგი განვითარებით.

სურ. 2. აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობი, ძელქვა კოლხური სუროთი



შევეცადეთ აღგვეჩერა აღნიშნული კორომი, მისი სხვადასხვა ექსპოზიციების მიხედვით და განგვესაზღვრა მისი მოცულობა, მარაგი და ფიტომასა. შემოგვესაზღვრა კორომის გავრცელების არეალი და დაგვედგინა მისი მდებარეობის ამსახველი კოორდინატები.





სურ. 3. ძელქვის კორომი და მისი არეალი, მიახლოებითი ტერიტორია, რომელსაც უნდა მიენიჭოს დაცვის სტატუსი



კორომის ფართობი 1.6 ჰა-ზე ოდნავ მეტია, ჩატარდა სატაქსაციო აზომვები და განვსაზღვრეთ ტყის მოცულობა, მარაგი და ფიტომასა, რომელიც ნაწილობრივ შედგება ძელქვისაგან. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია სწორედ ეს შედეგები, ტყის სამოდულო მარაგი, რეალურ ფართობზე არსებული მარაგი და ძელქვის მიერ შედგენილი ფიტომასა.



ცხრ. 1. ძელქვის კორომი ველზე აღებული წერტილები და მისი კოორდინატები მეტრულ სისტემაში

NN	X	Y
1	257,420.65	4,707,296.12
2	257,386.93	4,707,313.13
3	257,450.11	4,707,288.92
4	257,399.34	4,707,276.03
5	257,346.47	4,707,255.08
6	257,479.01	4,707,396.05

ცხრ. 2. ტყის საერთო მარაგი და ფიტომასა, გაზომილი კორომის ტერიტორიაზე (ჯამური)

ნაკვეთი NN	გაზომილი 1-ჰა-ზე (მოცულობა)	გაზომილი 1-ჰა-ზე (მასა)	რეალური ფართობი (ჰა)	გამოთვლილი მოცულობა	გამოთვლილი მასა
1	423.2	387.1	0.099754	42.2158928	38.6147734
2	451.8	432.6	0.285193	128.8501974	123.3744918
3	422.8	373.6	0.568617	240.4112676	212.4353112
4	561.5	493.2	0.273774	153.724101	135.0253368
5	175.3	155.5	0.300803	52.7307659	46.7748665
6	5	4	0.075596	0.37798	0.302384
7	1	1	0.09408	0.09408	0.09408
სულ			1.697817	618.4042847	556.6212437

ცხრ. 3. აქედან ძელქვის მარაგი და ფიტომასა, გაზომილი კორომის ტერიტორიაზე

ნაკვეთი NN	გაზომილი 1-ჰა-ზე (მოცულობა)	გაზომილი 1-ჰა-ზე (მასა)	რეალური ფართობი (ჰა)	გამოთვლილი მოცულობა	გამოთვლილი მასა
1	269.1	236.3	0.099754	26.8438014	23.5718702
2	139.8	122.8	0.285193	39.8699814	35.0217004
3	396	347.8	0.568617	225.172332	197.7649926
4	561.5	493.2	0.273774	153.724101	135.0253368
5	151.7	133.3	0.300803	45.6318151	40.0970399
6	5	1	0.075596	0.37798	0.075596
7	0	0	0.09408	0	0
სულ				491.6200109	431.5565359

ცხრ. 4. ძელქვის კორომი და მისი შემადგენელი ეკოსისტემები

ეკოსისტემის ინდექსი	ეკოსისტემა	ფართობი
4KF5w	საშუალოდ დახრილი ფერდობები ძელქვნარი და რცხილნარ-მუხნარ-ძელქვნარი ტყით, მარადმწვანე ქვეტყით	0.568617
5KF5w	ციცაბო ფერდობები ძელქვნარი და რცხილნარ-მუხნარ-ძელქვნარი ტყით, მარადმწვანე ქვეტყით	0.300803
4FK4w	საშუალოდ დახრილი ფერდობები ძელქვნარი და რცხილნარ-მუხნარ-ძელქვნარი ტყით, მარადმწვანე ქვეტყით	0.285193
2KF4w	ბორცვის თხემური ნაწილი, სწორი და მცირედ დახრილი ზედაპირით, ძელქვნარი და რცხილნარ-მუხნარ-ძელქვნარი ტყით, მარადმწვანე ქვეტყით	0.099754
3KF5i,w	დამრეცი ფერდობები ძელქვნარი და რცხილნარ-მუხნარ-ძელქვნარი ტყით, ბალახეული საფარით და მარადმწვანე ქვეტყით	0.273774
1.2G1ii,FK2i	ბორცვის თხემური ნაწილი, სწორი და მცირედ დახრილი ზედაპირით, მდელოთი და ძელქვის მოზარდით	0.075596
2G1ii	ბორცვის თხემური ნაწილი, სწორი და მცირედ დახრილი ზედაპირით, მდელოთი	0.09408
სულ		1.697818

4. მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული ტერიტორიების ბუნების ძველებად გამოცხადება ხელს შეუწყობს:

1. ფიტოცენოლოგიური ობიექტის-რელიქტური კოლხური ტიპის ძველქვანარი (*Zelcova carpinifolia*) ტყის, ენდემური და წითელი ნუსხის სახეობებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას;
2. ტყის დაცვის, მოვლა-პატრონობის ორგანიზებას, მათი ერთიან სამეგრელოს გეგმარებითი დაცული ტერიტორიების კომპლექსში გაერთიანებას და ერთიანი მართვის სისტემის დანერგვას;
3. ტურიზმისა და რეკრეაციის ხელის შეწყობას და განვითარებას;
4. აღნიშნული ობიექტების კეთილმოწყობისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გზით ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნას;
5. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ახალი სამუშაო ადგილების და შემოსავლის ალტერნატიული წყაროს შექმნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგანაც ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში არსებული ძველქვანარი ტყის კორომი (*Zelcova carpinifolia*), წარმოადგენს როგორც წარსული მცენარეული საფარის იშვიათ რელიქტს და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობისაგან შექმნილ ტყეს, რომელიც შეიძლება ითქვას პირველადია და კარგად არის შემონახული, საჭიროა და აუცილებელიც, გამოცხადდეს დაცულ ტერიტორიად, როგორც ბუნების უნიკალური ძეგლი, რომელიც წარმოადგენს კომპლექსური მნიშვნელობის ობიექტს, როგორც მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის, ასევე, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მათი დაცვა, მოვლა, განვითარება და მომავალი თაობისათვის შენარჩუნება.

ექსპერტები:

მარინა ჟორდანიას - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები -
საქართველოს ბიომრავალფეროვნების ექსპერტი

რომან მაისურაძე - ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტის
პოფესორი, გეოგრაფიის დოქტორი

გიორგი არაბული - ექსპერტ ბოტანიკოსი, რეკ კავკასიის პროექტის მენეჯერი.

ზემოთ მოცემული დასკვნის საფუძველზე საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების მიერ გაიგზავნა წერილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის სახელზე კირცხის სკოლასთან არსებული ძეღვევის კორომისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ.



სამეგრელოს მაღალკონსერვაციული ეკოსისტემების მდგომარეობა

სამეგრელოს მაღალკონსერვაციული ეკოსისტემების მდგომარეობა და გეოინფორმაციული სისტემები

საკვლევ რეგიონის მდებარეობა, სამეგრელოს რეგიონი და მისი შემოგარენი




სამეგრელოს რეგიონში კვლევის მიზნით ჩვენი მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია 2012-2017 წლებში

- ჯვარი-მიგარიის მასივი
- ტეხურას ხეობა, ნოქალაქევი-დედამოკა-აბედათის მთის მიდამოები
- ტეხურას ხეობა, ლებარდე-გვირას ქედი-ტობავარჩხილი
- წაჩხურას ხეობა
- მდ. აბაშისწყლის ხეობა, რაჩხას მიდამოები
- ყვირას კირქვული მასივი
- ჯვარი-მიგარიის მასივი
- ასხის კირქვული მასივი
- მდ. ხობისწყლის ხეობა

პროექტის ფარგლებში განხორციელდა რიგი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობები

- შესწავლილ იქნა სამეგრელოს რეგიონის ეკოსისტემები, მათ შორის ძნელადმისადგომი და რთული რელიეფური პირობების მქონე ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები
- გამოვლენილ იქნა ენდემური, იშვიათი, წითელი წიგნის და ნუხსის, ზურმუხტის ქსელის და სხვა დაცვითი კატეგორიის მქონე სახეობათა გავრცელების ჰაბიტატები, მათი შესაბამისი ეკოსისტემები
- შესწავლილ იქნა საძოვრების მდგომარეობა, მათი გამოვება-დეგრადირებისა და დასარეველიანების ხარისხი, მისი გამომწვევი მოზეზები და შესაბამისად, პრობლემის გამოსწორების გზები
- შევადგინეთ სამეგრელოს რეგიონის ბიომრავალფეროვნების Hotspot -ების ფარგლებში ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების გეოინფორმაციული სისტემები, რის ფარგლებშიც მომზადდა ეკოსისტემათა თემატური რუკები და ჩატარდა მათი ანალიზი
- შევადგინეთ 5 Hotspot -ის ეკოსისტემათა რუკები, მდ. ტეხურას და ხობისწყლის ხეობის ზემო წელის, ასხის, ყვირას და ჯვარი-მიგარიის მასივისთვის.

- შევადგინეთ ეკოსისტემათა მოწყვლადობის რუკები, რამაც ხაზი გაუსმა მათი დაცვის მნიშვნელობას და აუცილებლობას
- შევისწავლეთ ეკოსისტემათა მარალკონსერვაციულობა, ბიომრავალფეროვნება და პირველადი, ხელუხლებელი და კვაზიხელუხლებელი ეკოსისტემების გავრცელების საკიტხი, ტრანსფორმაციის დონეები, რის საფუძველზეც შევადგინეთ ეკოსისტემათა ტრანსფორმაციის ხარისხის რუკები ზემოთაღნიშნული 5 Hotspot თვის.
- შევისწავლეთ ეკოსისტემათა სტრუქტურა, მათი ფლორისტული, ასაკოვრივი, სტადიალური მახასიათებლები. მწვანე საფარის სიმძლავრე და ბუნებრივი აღდგენა-განახლების მიმდინარეობა. მათი ზეგავლენა ეკოსისტემათა კონსერვაციისა და გონივრული, მდგრადი და ტრადიციული ბუნებათსარგელობის წარმართვისათვის. შევადგინეთ შესაბამისი რუკები და ჩატარდა მათი შეფასებითი ანალიზი
- შევისწავლეთ ეკოსისტემათა ფონისშემქმნელი სახეობათა გავრცელება, შედგა მათი გავრცელების რუკები, ბორეალური,წიფლნარი,წაბლნარი,მუხნარი, ბზის და კოლხური ქვეტყის გავრცელების და დომინანტობის თვალსაზრისით., შედგა მათი თამატური რუკები
- შევისწავლეთ ეკოსისტემათა ბიომასის რამდენიმე მახასიათებელი, მცენარეული ბიომასის ოდენობა და მისი სიმძლავრე. სამოვრების ფიტომასათა ოდენობა და მდელოების მდგომარეობა საძვრებად გამოყენებასთან დაკავშირებით, დასარეველიანების ხარისხი ფიტომასებთან მიმართებაში და ა.შ.
- შედგა ადგილობრივი ენდემური ჰაბიტატების რუკები, მათი გავრცელების შესაბამისი ეკოსისტემების აღნიშვნით და ა.შ.



1. ყვირას კირქვული მასივი, 2. ჯვარი-მიგარიის კირქვული მასივი, 3. ასახის კირქვული მასივი



ხოზისწყლის და ტეხურას ხეობები. 1. ხოზისწყლის ხეობა, 2. ტეხურას ხეობა



კირქვული მასივების რელიეფური თავისებურებები

- ყვირას მასივისათვის დამახასიათებელია კარსტული პლატოს ტალღოვანი ზედაპირების და მკვეთრად ციცაბო ფერდობების მონაცვლეობა, ჩამოკვეთილი კლდოვანი ფლატეები და ღრმა ღარტაფები, რომელიც მასივის ერთობლიობას წარმოადგენს
- მიგარიის კირქვულ მასივზე შეინიშნება კარსტული ძაბრების საკმაოდ ხშირი, მაგრამ ყვირასთან შედარებით ნაკლებინტენსიური ქსელი. კირქვების მასიურობა და უფრო მსხვილი კარსტული ფორმების (უვალები) არსებობა და ტყის ელემენტების შედარებით უხვი განვითარება აყალიბებს ყვირას მასივთან შედარებით ნაკლებად მშრალ ეკოსისტემებს, რაც იშვიათი ჰიდროგრაფიული ქსელის პირობებშიც თვალშისაცემია. შედეგად აქ დომინირებს კოლხური, მ.შ. ფლორისტული მარადმწვანე ელემენტები
- ასხის კირქვულ მასივზე შეინიშნება კარსტული ძაბრების ხშირი ქსელი. კირქვების მასიურობა და უფრო მსხვილი კარსტული ფორმების (უვალები, დოლინები) არსებობა. ასევე ტყის ელემენტების შედარებით სუსტი განვითარება. ჰიდროგრაფიული ქსელიც სუსტადაა განვითარებული.



ჯვარი-მიგარიას მასივის ეკოსისტემები, მათი სახესხვაობა ფლორისტული, ცენოზური და ვერტიკალური სტრუქტურის სიმძლავრის მიხედვით



1. მარმუჭიანი მდელო შერეული ტყის ეკოსისტემის ფონზე, მიკრო და მაკროსტრუქტურებით. 2. წიფლნარ-მუქწიწვიანი და ზედამთის არყნარ-წიფლნარ-ნეკერჩხლიანი ტყის, სუბალპური მდელოსა და ბუჩქნარის ეკოსისტემები მაკრო, მეზო და მიკრომეზო სტრუქტურებით. 3. წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყე შქერიანით, მაკრო და მიკრომეზო სტრუქტურებით. 4. მუქწიწვიანი ტყე და მეზოფილური მდელო, კლდოვანი გამიშვლებები პეტროფილებით, მაკრო, მიკრო და ნანოსტრუქტურებით. 5. მუქწიწვიანი ტყე შქერიანით, მეგა, მაკრო და მიკრომეზო სტრუქტურებით. 6. წიფლნარი ტყე მარადმწვანე კოლხური ქვეტყით, მაკროსტრუქტურებით

ყვირას მასივის უმეტესი ნაწილი უმნიშვნელოდაა ტრანსფორმირებული, შესაძლოა პარცელარულად გვხვდებოდეს ხელუხლებელი ან კვაზიხელუხლებელი ეკოსისტემებიც, უმნიშვნელოდაა სახეცვლილი ეკოსისტემათა ნახევარზე მეტი, მზიშვნელოვანი ნაწილი მცირედ და ზომიერადაა სახეცვლილი, ზომიერად სახეცვლილია ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება ტრადიციულ საძოვრებად, ხოლო

საშუალოდ და ზოგან მნიშვნელოვნად სახეცვლილათა კატეგორიას მიეკუთვნება ის ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა სათიბად, სხვადასხვა ნათესებისათვის ან დიდი დატვირთვით მიმდინარეობდა ძოვება, რამაც მათში რიგი ცვლილებები გამოიწვია.


ჯვარი-მიგარიის მასივის უმეტესი ნაწილი უმნიშვნელოდაა ტრანსფორმირებული, ალაგ-ალაგ გვხვდება გვხვდებოდეს ხელუხლებელი ან კვაზიხელუხლებელი ეკოსისტემებიც, უმნიშვნელოდაა სახეცვლილი ეკოსისტემათა ნახევარზე მეტი, მნიშვნელოვანი ნაწილი მცირედ და ზომიერადაა სახეცვლილი, ზომიერად სახეცვლილია ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება ტრადიციულ საძოვრებად,

ასხის მასივის უმეტესი ნაწილი მცირედაა ტრანსფორმირებული, მცირეა უმნიშვნელოდ სახეცვლილი ეკოსისტემები, რომლებიც ძლიერ მიუდგომელ ფერდობებზეა, სადაც ასევე შეიძლება გვხვდებოდეს კვაზიხელუხლებელი ეკოსისტემებიც. ნახევარზე მეტი, მნიშვნელოვანი ნაწილი მცირედ და ზომიერადაა სახეცვლილი, ზომიერად სახეცვლილია ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება ტრადიციულ საძოვრებად, აქ ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში დიდი დატვირთვით მიმდინარეობდა ძოვება, რამაც მათში რიგი ცვლილებები გამოიწვია.

ტეხურას ხეობაში მისი ქვედა ნაწილი მეტადაა ტრანსფორმირებული, მცირედ და უმნიშვნელოდაა სახეცვლილ ეკოსისტემათა მნიშვნელოვანი ნაწილი მთიან ზოლშია შენარჩუნებული. სადაც მიმდინარეობდა და ეხლაც მიმდინარეობს ინტენსიური ტყის ჭრა. პირუტყვის ძოვება ნაკლებად მასშტაბურია და წარსულში უფრო მეტი ინტენსიობით მიმდინარეობდა.

ხობისწყლის ხეობაში მისი ქვედა ნაწილი მეტადაა ტრანსფორმირებული, ხოლო ზემო წელში, რომელიც რუკაზეა წარმოდგენილი, მცირედ და უმნიშვნელოდ სახეცვლილ ეკოსისტემათა მნიშვნელოვანი მთიან და ძლიერი დახრილ, მიუდგომელ ფერდობებზეა შენარჩუნებული. ხოლო მის მარცხენა ფერდობებზე მიმდინარეობდა და ეხლაც მიმდინარეობს ინტენსიური ტყის ჭრა. პირუტყვის ძოვება ნაკლებად მასშტაბურია და წარსულში უფრო მეტი ინტენსიობით მიმდინარეობდა.

საკვლევო რეგიონი, “ცხელი წერტილები” ენდემური და წითელი ნუსხის სახეობების გავრცელებით



Betula Megrelika მიგარიას კირქველ მასივზე



რომან მაისურაძე - ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტის
პოფესორი, გეოგრაფიის დოქტორი

2017 წლის 18-20 სექტემბერს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ორგანიზებით, პროექტის „ადგილობრივი თემების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“ ფარგლებში, ზუგდიდში ჩატარდა მეორე ფაზის შემაჯამებელი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ „Pro Natura - დედამიწის მეგობრები-შვეიცარიის“ საერთაშორისო კოორდინატორი ბერთრანდ სანსონენსი, ადგილობრივი კოორდინატორები და პროექტში ჩართული ექსპერტები.



რეზოლუცია

ამჟამად მსოფლიოში არსებობს გარემოსთან დაკავშირებული 500-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულება. საქართველო მიერთებულია 33 საერთაშორისო ხელშეკრულებას. მათ შორის ბიომრავალფეროვნების სფეროს კონვენციებს და სხვა ხელშეკრულებებს. ქვეყანას მიღებული აქვს 2014-2020 წწ ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა.

გამომდინარე 2014-2020 წწ ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის და მოქმედებათა გეგმიდან საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს ინიცირებითა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის Pro-Natura-დედამიწის მეგობრები შვეიცარიის ფინანსური მხარდაჭერით სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში 2015-2017 წწ. განხორციელდა პროექტი „საზოგადოების მონაწილეობით ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“, რომლის მთავარი მიზანი იყო სამეგრელოს მთიანეთის უნიკალური და ბიომრავალფეროვნებით მდიდარი მაღალკონსერვაციული ეკოსისტემების დაცვა და შენარჩუნება, მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

პროექტი წარმოადგენს სამეგრელოს რეგიონში 2012–2013 წლებში განხორციელებული საპილოტე პროგრამის გაგრძელებას, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების გზით ბიომრავალფეროვნების მონიტორინგსა და სენსიტიური (აუცილებელი დაცვითი ღონისძიებების გატარების საჭიროების მქონე) უბნების იდენტიფიცირებას, ასევე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების გამოვლენასა და შესაბამისი დაცვითი რეკომენდაციების შემუშავებას.

პროექტი განხორციელდა სამეგრელოს 7 მუნიციპალიტეტის 21 სამიზნე თემში და ისახავდა მიზნად მაღალკონსერვაციული ღირებულების ჰაბიტატების დაცვის ხელშეწყობას, ადგილობრივი სამიზნე თემების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას,

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პრაქტიკის დანერგვითა და საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების გზით.

ამ მიზნით პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი აქტივობა. მათ შორის:

- ჩატარდა საგანმანათლებლო სემინარები და შეხვედრები მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობისათვის, საქართველოს განათლების სამინისტროს რესურსცენტრების წარმომადგენლებისათვის, საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებისათვის, მოსწავლეებისთვის, ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის და მოსახლეობისთვის;
- 7 სამიზნე საჯარო სკოლაში შეიქმნა საკონსერვაციო ბალები;
- რამდენიმე მუნიციპალიტეტში შეირჩა და გაშენდა ქარსაცავი ზოლები;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, შერჩეულ ტერიტორიაზე განხორციელდა დეგრადირებული ტყის აღდგენის ხელშეწყობის ღონისძიებები.
- სამოვრების მდგრადი მართვის დანერგვის მიზნით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში განხორციელდა ნაკვეთმონაცვლეობითი ძოვების სამოდულო პროექტი „ელექტრომწყემსის“ საშუალებით.
- პროექტის განმახორციელებელი ჯგუფისა და მასში ჩართული ექსპერტების - ბიოლოგების, გეოგრაფებისა და მეტყვევების მონაწილობით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები მაღალკონსერვაციული ეკოსისტემების გამოსავლენად და შესასწავლად. ექსპედიციის ფარგლებში აღწერილი იქნა ადგილობრივი ეკოსისტემების მრავალფეროვნება. შესწავლილ იქნა ტყის, სუბალპური და ალპური ზონები, მათი ბიომრავალფეროვნება, ტყის არსებული მდგომარეობა, მაღალი საკონსერვაციო მნიშვნელობის ჰაბიტატები, ენდემური და იშვიათი სახეობები.
- მოეწყო სასკოლო ოლიმპიადები, კონფერენციები და ეკო-ბანაკი მოსწავლეებისათვის და ა.შ.
- დაიგეგმა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.
- საველე კვლევებმა გვიჩვენა, რომ ხეობის იშვიათი და ენდემური სახეობებისთვის საფრთხეს ქმნის ისეთი ანთროპოგენული ფაქტორები,

როგორცაა გადაჭარბებული ძოვება, ტყის გაჩეხვა, რესურსების გადაჭარბებული შეგროვება. საჭიროა რომ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მცენარეთა სახეობების ეფექტური დაცვის მიზნით შემუშავდეს სათანადო კანონმდებლობა.

- გამოვლინდა საძოვრების მდგომარეობის მახასიათებლები, საძოვრების უმეტესობა ჭარბი ძოვების შედეგად დეგრადირებულია, დასარეველიანების ხარისხი ეკოსისტემების მიხედვით სხვადასხვაა, ტყიან საფარში დასარეველიანება 30%-ს აღწევს, მაღალმთის მდელოების 30-40% დასარეველიანებულია, ხოლო ტყის ზონაში ჩვეულებრივი მდელოების დასარეველიანება 40-50%-ია.

კვლევების დროს გამოვლენილი იქნა ისეთი იშვიათი სახეობები, რომელთაც გადაშენების საფრთხე ემუქრებათ როგორც ლოკალური ასევე გლობალური თვალსაზრისით. მათ შორისაა საქართველოს წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის სახეობები. ზოგიერთი მათგანი IUCN-ისა და CITES-ის ნუსხებშია, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მრავალი სახეობა, რომლებიც დაცვას საჭიროებს, არაა შეტანილი ამ ნუსხაში და შესაბამისად მათი დაცვისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა საქართველოში ძალზე მწირია.

ლოკალური თვალსაზრისით საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებიდან ხობისწყლისა და ტეხურის ხეობაში გამოვლინდა მრავალი სახეობა. ზოგიერთი მათგანი სასწრაფო და გადაუდებელ კონსერვაციულ ღონისძიებებს საჭიროებს. ასეთია გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი მცენარის სამეგრელოს არყის (*Betula megrelica*) მცირერიცხოვანი პოპულაცია. იგი ლოკალური ენდემია (მხოლოდ სამეგრელოში გვხვდება), ადრე სუბალპურ ტანბრეცილ ტყეებს ქმნიდა დღეს კი მცირე ფართობებზეა შემორჩენილი. საჭიროა დაცულ იქნას ამ სახეობის ადგილსამყოფელი. უთხოვარი (*Taxus baccata*), გადაშენების ზღვარზეა რაგიონში, საჭიროებს დაცვის სასწრაფო ღონისძიებებს.

საჭიროა მეტი პროპაგანდა გაეწიოს მოსახლეობაში ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მცენარეების კულტივირების საქმეს, ამ მხრივ ფერმერებს თანადგომა და დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივმა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ. ეს ხელს

შეუწყობს იშვიათი მცენარეების კონსერვაციას და ბიომრავალფეროვნების შემცირებას.

მცენარეთა in situ კონსერვაციის უზრუნველყოფისათვის საჭიროა სამეგრელოს მთიანეთში დაცული ტერიტორიის სხვადასხვა კატეგორიის სისტემის შექმნა და გაფართოება, რომელიც ხელს შეუწყობს სამეგრელოს გეგმარებითი დაცული ტერიტორიების ერთიან კომპლექსში გაერთიანებას და ერთიანი მართვის სისტემის დანერგვას; განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მდ. ტეხურის, მდ. ხობისწყლის ხეობები და სამეგრელოს კირქვული მასივები (ასხი, მიგარია, ყვირა, ოხაჩქუე), სადაც მცენარეთა სახეობების 40% ენდემურია და სადაც გვხვდება არამარტო ენდემური სახეობები, არამედ ენდემური თანასაზოგადოებებიც

მიგვაჩნია, რომ იშვიათი და ენდემური სახეობების ასეთი სიუხვე ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა და მას განსაკუთრებული მოფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება.



გამოცემაზე მუშაობდნენ:

მარიკა ფიროსმანაშვილი
მაკა წერეთელი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge, www.cleanup.ge